

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორი 040252

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

რადიო- და სატელევიზიო სისტემები მიეკუთვნება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროს, რომელიც მოიცავს ნებისმიერ მანძილზე ინფორმაციის გადაცემისა და მიმოცვლის მეთოდებისა და ტექნოლოგიების ერთობლიობას ელექტრომაგნიტური ტალღების გამოყენებით. იგი ვითარდება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. ამის ერთ-ერთი დასტურია მზარდი მოთხოვნა მოცემული დარგის სპეციალისტებზე და დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისადმი მუდმივი ხელშეწყობა შესაბამის საწარმოთა მხრიდან.

II. დასაქმების სფერო

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორის დასაქმების სფეროს წარმოადგენს ის ტექნიკური სისტემები და ტექნიკური საშუალებები, რომლითაც ხორციელდება ბგერის, გამოსახულების და მონაცემების გადამტანი სიგნალების გადაცემა და მიღება რადიო-სატელევიზიო მოწყობილობებით; კერძოდ, ესაა სისტემები, სადაც ხორციელდება ან გამოიყენება: მიწისპირა და სათანამგზავრო კავშირი და მაუწყებლობა; რადიოსარელო კავშირი; მობილური კავშირი; უკაბელო ფართოზოლოვანი ტექნოლოგიები. დღეისათვის საქართველოში არსებულ ინფო-ტელეკომუნიკაციურ სივრცეში 32 კომპანიას აქვს ლიცენზია მობილური კომუნიკაციის სხვადასხვა სახეობებზე; 17 კომპანია აწარმოებს რადიო და ტელემაუწყებლობას; 15 კომპანიას აქვს რადიოსარელო ხაზები, რადიო და სატელევიზიო პროგრამების გადამცემები, საბაზო რადიოსადგურები.

მოყვანილი მაჩვენებლები ახლოსაა რადიო- და სატელევიზიო სისტემების მსოფლიო განვითარების ტენდენციებთან.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება
- მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა
- მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი და თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 40 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.. ენიჭება რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

V. რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	აქვს ყველა რადიო- და სატელევიზიო - მიწისპირა და სათანამგზავრო, რადიოსარელო, რადიო-ტელე სამაუწყებლო, მობილური და უკაბელო სისტემების, როგორც ცალკეული კვანძების, ასევე მათი ერთობლიობაში მუშაობის პრინციპების ცოდნა. იცის, თუ როგორ განახორციელოს მათი მონიტორინგი.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები	შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს მიწისპირა და სათანამგზავრო, რადიოსარელო, რადიო-ტელე სამაუწყებლო, მობილური და უკაბელო თანამედროვე სისტემების ტესტირება, მეტროლოგია, ტექნიკური კონტროლი და ექსპლუატაცია.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი	შეუძლია, დამოუკიდებლად, რადიო- და სატელევიზიო საშუალებების ყოველდღიური მეთვალყურეობა, დაზიანებათა შესახებ ინფორმაციის მიღება, მათი დამუშავება და დაზიანების აღმოფხვრაში მონაწილეობა. საექსპლუატაციო და სერვისული მომსახურების აპარატურის პარამეტრების გაზომვები და მისი შედეგების დამუშავებაში მონაწილეობა. ტექნიკურ-ეკონომიური ანალიზის წარმოება და ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომპლექსური უზრუნველყოფა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება	შეუძლია კორექტულად ჩამოაყალიბოს და ზეპირად ან წერილობით ნათლად გამოხატოს აზრი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია მონაწილეობის მიღება დისკუსიებში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის მიზნით.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	შეუძლია ცოდნის გაფართოება მიწისპირა და სათანამგზავრო, რადიოსარელო, რადიო-ტელე სამაუწყებლო, მობილური და უკაბელო თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებით.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად	იცნობს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს; პროფესიონალურად რეაგირებს მომხმარებლებისა თუ სისტემის მფლობელთა შენიშვნებსა და პრეტენზიებზე; პასუხისმგებლობით ეკიდება უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებს.

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს</p>	<p>შეუძლია ყველა რადიო-სატელევიზიო სისტემის - მიწისპირა და სათანამგზავრო კავშირისა და მაუწყებლობის, რადიოსარელო კავშირის, მობილური კავშირის, უკაბელო ფართოზოლოვანი სისტემების – როგორც ცალკეული კვანძების ინსტალაცია, ასევე ინსტალაცია მთლიანობაში; სისტემების დაყენება საპროექტო მაჩვენებლებზე და ექსპლუატაციისთვის გამზადება; უზრუნველყოს ელექტრომაგნიტური თავსებადობა მოცემულ გეომეტრიაში; შეაფასოს ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების პირობები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს მიწისპირა და სათანამგზავრო კავშირისა და მაუწყებლობის, რადიოსარელო კავშირის, მობილური კავშირის და უკაბელო ფართოზოლოვანი სისტემების რადიოტექნიკური კვანძების ექსპლუატაციაში შეყვანა საპროექტო მაჩვენებლების გათვალისწინებით, შეადგინოს შესაბამისი ანგარიშები.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად შეადაროს საპროექტო-დოკუმენტური და საექსპლუატაციო მონაცემები შესაბამისი რადიო-სატელევიზიო სისტემებისათვის; კერძოდ, ჩაატაროს სათანადო გაზომვები და შეადაროს ის საპროექტოს. აწარმოოს ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია</p>	<p>ზეპირად და წერილობით შეუძლია მკაფიოდ გამოხატოს</p>

	პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება	აზრი პროფესიულ საკითხებზე, ასევე დისკუსიებში მონაწილეობა პრობლემების გადაჭრის მიზნით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	უნდა შეეძლოს მოიპოვოს და დაამუშაოს ინფორმაციები უახლეს ტექნოლოგიებზე.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. კერძოდ, პროფესიონალურად რეაგირებს ცალკეული მომხმარებლებისა და სისტემების მფლობელთა პრეტენზიებსა და შენიშვნებზე. პასუხისმგებლობით ეკიდება უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებს.

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	უნდა იცნობდეს რადიო- და სატელევიზიო სისტემების კვანძების ტექნოლოგიურ მონაცემებსა და პროტოკოლებს. უნდა შეეძლოს საჭირო სისტემის ტექნიკური დავალების შედგენა. სისტემის ტექნიკური დავალების საფუძველზე განახორციელოს მისი სტრუქტურული პროექტირება, პარალელურად უნდა გადაჭრას ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების საკითხები. უნდა იცნობდეს კანონმდებლობის საკითხებს რეგულირების მიმართულებით.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით	უხელმძღვანელოს მის მიერ პროექტირებული სისტემის პრაქტიკულ რეალიზაციას არსებული საბაზისო ტექნოლოგიების გამოყენებით: უხელმძღვანელოს სისტემის ინსტალაციის, გაზომვებისა და ექსპლუატაციაში შესვლის პროცესებს.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი	ჩატარებული გაზომვების საფუძველზე გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები ექსპლუატაციაში მყოფი სისტემის ირგვლივ. მოახდინოს პარამეტრების დაზუსტება და მიღწეული საბოლოო ტექნიკური მაჩვენებლების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება	ზეპირად და წერილობით შეუძლია მკაფიოდ გამოხატოს აზრი პროფესიულ საკითხებზე. მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში პრობლემების გადაჭრის მიზნით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში	უნდა შეეძლოს მოიპოვოს და დაამუშაოს ინფორმაციები ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს, კერძოდ, პროფესიონალურად რეაგირებს ცალკეული მომხმარებლებისა და სისტემების მფლობელთა პრეტენზიებსა და შენიშვნებზე. პასუხისმგებლობით ეკიდება უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებს.